## სტარტოვიტი (Startovit)

**წამლის ფორმა:** პერორალურად მისაღები გრანულები, გამოიყენება მეფუტკრეობაში.

**შემადგენლობა**

ნატრიუმის ქლორიდი 0.430გ, კობალტის ქლორიდი 0.019გ, დინატრი ფოსფატი 0.010გ, დამხმარე ნივთიერებები: შემავსებელი 5.0 გ-მდე

**გამოშვების ფორმა:** მუყაოს კოლოფის შეფუთვაში მოთავსებულია 5 პოლიეთილენის პაკეტი, თითოეული 5გ-ის ოდენობით.

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:** მინერალური საკვები დანამატი.

**დანიშნულება:** ფუტკრის ოჯახების სტიმულირებისათვის.

მოქმედების მექანიზმი: სტარტოვიტი, მასში შემავალი ნატრიუმის, ქლორის, კობალტისა და ფოსფორის იონების შემცველობის საფუძველზე, სტიმულირებს დედის კვერცხმდებლობაზე და ფუტკრის შრომისუნარიანობაზე. შედეგად, ჩქარდება ფუტკრის ოჯახების ოპტიმალური განვითარება გაზაფხულზე, ხოლო ფუტკრის პროდუქტების მოპოვება-მატულობს, ბარტყის რაოდენობა იზრდება 74%-მდე, ხოლო სეზონის მანძილზე ფუტკრის რაოდენობა მატულობს 30%-მდე. გაზაფხულზე მისი გამოყენება ძლიერ განვითარებულ ფუტკრის ოჯახებში მიგვიყვანს ნაყრიანობის მდგომარეობამდე.

**გამოყენების ჩვენებები**

გაზაფხულზე - სუსტ და საშუალო სიძლიერის ოჯახებში რათა გადაილახოს ცვალებადი პირობები და დაჩქარდეს ოჯახის განვითარება ღალიანობის დაწყებამდე.

ზაფხულის I ნახევარში: ძლიერ ფუტკრის ოჯახებში, რათა შეიქმნას ნუკლეუსები (ახალი ოჯახები).

ზაფხულის II ნახევარში: დედის კვერცხმდებლობისა და ფუტკრის ოჯახებში ახალგაზრდა ფუტკრების რაოდენობის შენარჩუნებისათვის.

**გამოყენების წესი და დოზირება**

თითოეული შეფუთვა შეიცავს 5 პაკეტს, თითოეული 5გ-ის ოდენობით. ერთი 5გ პაკეტი იხსნება 10ლ. შაქრის სიროფში (1:1).

ფუტკრის ოჯახს ეძლევა 500 მლ. სიროფი 3-5 ჯერ, 3-5 დღის ინტერვალით.

**დაყოვნების პერიოდი:** არ აქვს.

**შენახვის პირობები:** ინახება ოთახის ტემპერატურაზე.

**ვარგისიანობის ვადა:** 2 წელი.

**მწარმოებელი ქვეყანა:** პრიმავეტ - სოფია, ბულგარეთი.